რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Іვ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Іვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Іვ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი მაისიდამ პირველ იენ(ი)სამდინ გაზეთი ღირს—2 მან., წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

# საქართველო

## დღიური

*** ვასილის ორშაბათის, 8 მაისის სხდომაზე ქალაქის რჩევამ დასვა შემდეგი გადაწყვეტილება სასაფლაოების შესახებ:

ერთი წლის შემდეგ ყველა სასაფლაოები ქალაქისა, გარდა მაჰმადიანთ სასაფლაოისა, რომელიც სოლოლაკის მთის გადაღმა არის და რომელსაც ამის გამო ქალაქისათვის არავითარი ვნების მოტანა არ შეუძლიან, ყველა დანარჩენი სასაფლაოები გადატანილი უნდა იქნეს ქალაქის წრეს გარეთ, სახელდობრ ნავთლუღის მინდორზე.

ეს ახალი საზოგადო სასაფლაო, ქალაქის მცხოვრებთა რაცხვის შედარებით, გაყოფილი იქნება ამ გვარად სულ სასაფლაოსთვის დანიშნულია 50 დესიატინა, აქედამ 15 დესიატინა იქნება მმართლმადიდებელი სარწმუნოების: მიცვალებულებისათვის, 17 დესიატინა სომხებისათვის, 6—ფრანგებისათვის, 5 ლოტრანგებისათვის და 1 ურიებისათვის.

*** მეორე ამბავი, რომელიც აგრეთვე ქალაქის ჯანმთელობას შეეხება: ჩვენ გვითხრეს, რომ ქალაქის გასასუფთავებლად დანიშნულის ფულით გაუკეთებიათ იარმუკაში (რუსის ბაზარში) საზოგადო ფეხის-ადგილი. ახლა ერევნის მოედანზე და აგრეთვე ჰავლაბრის მოედანზედაც აპირობენ ამისთანა ფეხის-ადგილის გამართვას.

*** ჩვენს ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებაზედ რომ თითქმის არც ერთ იმ პანსიონში, რომელიც სომხებისაგან არის თფილისში გამართული და რომელშიაც ქართველი შაგირდები იყოფიან, ამ ქართველ ყმაწვილებს თავიანთ სამშობლო ენას არ ასწავლიანო.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა:

„გუშინ 9 მაისს, აქაურ სომხებმა წარმოადგინეს ქართულად უფ. სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა.“ უფ. ბარხუდარიანი და ა. მრევლოვის ქალი თამაშობდნენ მშვენივრად. დანარჩენ მოთამაშეთაც სინიდისიანათ აასრულეს თავის როლები.

# ფელეტონი

## იმედები და სიზრმები

ბატონყმობა რომ მოისპო ამ ჩვენ ქვეყანაში, ყველა მებატონემ კარგად იგრძნო მაშინ, თუ ამით რა ცვლილება უნდა მომხდარიყო მათ პატარა ბეღლებში და ქურებში, მათ მსუქუქ ჯიბეებში და ფულის შესანახავ ნამცეცუნა კოლოფებში.

ყველა მებატონემ იგრძნო თავის გაჭირება და ყველამ აიტანა ეს აუცილებელი მოსავალი დიდის სულგრძელობითა და მოთმენითა.

მაშინ დაღონებულ თავად-აზნაურობასა დაურიგდა ხუთ მილიონამდი მანეთი რომ მას ჩამოერთვა ყმები..

ნუგეში იყო დიდი; მაგრამ გაჭირება, რისთვისაც მიეცა მას ეს ნუგეში, იყო კიდევ უფრო უდიდესი.

მაშინ იმ გაჭირებაში ითქვა სიტყვა და სიტყვა იგი იყო ესე:

— ჩამოვიღეთ ამ ფულიდგან ათისთავიო და იქმნეს ამით თავად-აზნაურობის ბანკიო წამოსაზრდელად ჩვენი შთამომავლობისაო, რათა უქონელობით და უსწავლელობით საცოდავათ არ ამოხდეთ სულიო თავადსა და აზნაურსაო!

ითქვა სიტყვა ესე, სიტყვა გაჭირებისა, მზრუნველობისა, სიყვარულისა და ერთმანეთის შებრალებისა.

ეს იყო საქმე მთელი თავად-აზნაურობის ზედგარდამო შთაგონებისა!

და ესრედ ჩასახდა თავად-აზნაურობის ბანკი ამ ჩვენ ღარიბ ქვეყანაში. და ერთხელვე ჩასახულმა, ნაცვლად ცხრა თვისა, დაჰყო ცხრა წელიწადი.

ხოლო ამ ხანგრძლივ ლოდინში, მანამ ეს ბანკი დაიბადებოდა, თავად-აზნაურობას დიდი იარა უჩნდებოდა.

ზანიავდა, გაღნა, გაქრა თავად-აზნაურების მილიონები, ისე როგორც ჯიბის ფული.

ამ ფულს ეძახდნენ გლეხის ფულიო, და კიდევაც გამართლდა ეს სახელი, და ამ ფულმა მალეც მოძებნა ისა, ვისიც სახელი ერქვა:

ეს გლეხის ფული სულ გადავიდა გლეხების ჯიბეში, რადგანაც გლეხს ეჭირა ხელში თოხი და მებატონეს კი პირში ყალიონი.

და შემდგომ ამავე ცხრა წლის განმავლობაში გლეხებმა ამ გლეხის ფულით გამოიყიდეს თავიანთ მებატონეებისაგან მიწები ნახევარ, მესამედ და უფრო ნაკლებ ფასებათა.

ისე რომ ამ ცხრა წელიწადში თავად-აზნაურობას გამოეცალა ხელიდგან ოთხი მილიონის ფასად მიწა.

თავად-აზნაურობას მიეცა კიდევ დამატებითი გლეხების ფული ნახევარ მილიონამდი; მაგრამ ეს ნახევარ მილიონიც მალე გაქარწყლდა.

ასე ამ ფულით წამლობამ, და ასიგნაციის აბებმა აშკარად გამოაჩინეს, რომ ყმების ჩამორთმევით თავად-აზნაურობას გამოუჩნდა ერთი დიდი იარა, რომელიც წინედ იყო დამალული და ნელა მუშაობდა მის სხეულში, და ამისთანა იარა, რომ ამის მოსარჩენად აჟუ მოსაშუშებლად ვერ მიუდგა მას წამლად ცარიელი მილიონები.

წინედ ეგონათ, რომ ეს იარა იყო „სიღარიბე;“—მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, როდესაც მილიონებმა ვერა უშველა-რა,—რომ ამ იარის უფრო სწორე სახელი იყო: „უსწავლელობა“.

დრო მიდიოდა და მასთანვე ხელიდამ მიდიოდა ამ უსწავლელობის გამო თავად-აზნაურობის ქონებაცა.

მოისმოდა: ხმა შეწუხებულისა:

— ბანკი! ჩემო იმედო, ჩემო ნუგე-

„ამ წარმოდგენის დროს თეატრში სკანდალი კინალამ მოხდა: შემოვარდნენ მთვრალი აფიცრები და დაიწყეს ერთი ყვირილი, ხრაგუნი და უწესოება მოახდინეს. თვითონ არაფერი ესმოდათ და მაყურებელ საზოგადოებასაც უშლიდნენ გაგონებასა.

*** კავკაზიის აქეთა მხარეში წლევანდელი ზაფხულის განმავალობაში მიწების გამიჯნვა შემდეგს ადგილებში უნდა მოხდეს:

### თ ფ ი ლ ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი:

თფილისის უეზდში: უნდა გამიჯნონ მტკვრის მარცხენა მხრით მდებარე სოფლები და ადგილები: მანავი, თოხლიაური, ბურდიანი, ჩაილური, ყოზლუხი, ლომბალო, ცოფი, დამია და აგრეთვე მტკვრისა და ხრამის მარჯვნივ, იმ სოფლების სამზღვარზე, საცა შარშან იყო გამიჯნვა. მამულები გაიყოფება: ჩხიკვთაში, ხოფისში, მაცევანში, არუხლუში, ახტალაში, დეგლეროში და ჯილგაში.

სიღნაღის უეზდში: გამიჯნავენ ბურჯაანს, ზიარს, ახაშენს, ჩუმლაყს, კაიბათს და სხვ.

გორის უეზდში: ჯერ გაათავებენ სათარხნოს გამიჯნვას მტკვრის მარჯვნივ, მერე საციციანოს შეუდგებიან იმ ადგილიდამ, საცა შარშან შეჩერდა გამიჯნა. მტკვრის მარცხნივ დაიწყებენ ლომის-ყანის გამიჯნვას, შემდეგ საკორინთლოს, აზრევს, პატარა-მეჯვრისხევს; შემდეგ უკულმა-სოფელს, ბაგებს, დიდი-მეჯვრისხევი და სხვ.; ამას გარდა ამ უეზდის დასავლეთით დაიწყებენ ზალმა-ახალდაბის, იტრიას, ჩუმა-თელეთის გამიჯნვას; შემდეგ ფონის, წიფას შეუდგებიან, რომელნიც საბაშიოს ეკუთვნიან და მერე სხვა ადგილებსაც შორაპნის უეზდში (ქუთაისის გუბერნიაში.)

დუშეთის უეზდში: საგურამო, ახათანი, კატამაანთ-ხევარი, პრეზეთი, ბაზალეთი, კოდის-წყარო, წინ-დუშეთი და თვითონ ქალაქი დუშეთი.

თელავის უეზდში: გამიჯვნა იქნება ბაიხოში, რჩეულეთში, რუის-პირში, იყალთოში, ხორხელში, ვაჩნაძიანში, ყალაურში და შაშიანში; გაჰყოფენ აგრეთვე სოფ. უკალერში მამულებს თ. ჭავჭავაძეებსა და იმით მონაწილეებს შუა.

თიანეთის უეზდში გამიჯნვენ: ვეძათხევს, ჭუჭულაანთ-კარს, ლოროხის, ახმეტს და მატანისს.

### ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი:

ქუთაისის უეზდში: გამიჯნვას დაიწყებენ მდ. რიონის ორივ ნაპირზე, ოკრობაში და ზუმათის ჩრდილოეთით და აგრეთვე ბალდადში და კორთხაში.

ოზურგეთის უეზდში: გაიმიჯნება ზურიანთა.

ზუგდიდის უეზდში: სოფლები: აბასთუმანი, ჯაგრა, ოპუჯი, ხიბელა, ზენი, ზანა, ნოჯიხევი, ჩაქვიჯი და ქეთა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**სამტრედია**, 8 მაისს. გუშინ, 6 მაისს ღამით, დაკეტილს ორპირის ეკკლესიას გაუჩნდა შიგნით ცეცხლი, რომლითაც საკურთხეველი ისეთ ნაირად იყო რაოდენიმე ხანს მშვენიერად განათლებული, რომ გააკვირა შორიდან მაყურებელნი.

იმ წამსვე აცნობეს ... ადგილობრივ მღვდელსა ეს ამბავი; მღვდელმა ქუდი მოიხადა და სთქვა: „მა წმინდა ნიანი არის!“ დაიწყო ლოცვა და მოიწვია სხვა ყველა მაყურებელნიც ლოცვის მოსასმენლად..

მაგრამ ცოტა ხნის განმავალობაში წმინდა ნიანი როგორღაც სხვა ნაირათ ერთობ განათლდა; მაშინ დიდის შიშვედრებით მიუახლოვდნენ ეკკლესიას და ნახეს, რომ ცეცხლი ყოფილიყო. დაიწყეს გაცხარებულათ რეკა ზარისა, გაალეს ეკკლესიის კარები და დიდის ვაივაგლახით ყვირილით დაუწყეს ხელ-და-ხელ ბრძოლა იმ უცნაურს ცეცხლის ვეშაპსა; მასთან დაიწყეს გატანა ეკკლესიის ნივთ-სამკაულისა.

ნახევარი საათის განმავალობაში გარდაარჩინეს ეკკლესია სრულიად დაწვისაგან.

ზარალი საკმაოდ მოხდა; ცეცხლს არასფერი არ დაუზოგავს...

ა. კ.

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

ინგლისურს გაზეთს „სტანდარდში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ინგლისის მმართებლობა არაფერს არ უთ-

---

შო! მიშველე!... ვილუპები უსწავლელობითა, ვღარიბდები ისევ ამავ უსწავლელობითა!... დროზე მიშველე, ჩემო ბანკო, ჩემ გაჭირებაში მანუგეშებელო შვილო! დროზე მიშველე, თორემ ეს საშინელი იარა, რომელიც დღითი დღე მასუსტებს, მასაწყლებს, მტანჯამს და მაწუხებს,-მალე გამითხრის, შვილო, საფლავსა!..

დიდხან ვერა ეშველა-რა ამ ბანკის დაბადებასა, რომელსაც უნდა დაეყენებინა ეს გაჭირებული თავად-აზნაურობა სწავლის გზაზედა.

ვერა უშველა-რა ამ ბანკის დროზე დაბადებასა ექვსმა ბებიამა.

ბოლოს გამოჩნდა კაცი, რომელმაც მარტო იკისრა ბებიობა.

ამას ენახა და ესწავლა ეს ხელობა სხვა ადგილებშია.

მას ეშოვნა ძნელი მშობიერობის იარაღი, რომლის შოვნაში დახარჯოდა ასიოდე მანეთი, თუმცა ამ იარაღის ნამდვილი ფასი სულ აბაზი და ბევრი-ბევრი ორი აბაზი უნდა ყოფილიყო.

თავად-აზნაურობას ბევრი აღარ აფიქრა:

— გეყოფა რაც გიფიქრიაო; ნუ შიშობ; ეხლა მე მომენდეო; აგერ იარაღიო; გაშინჯეო; და ამის გასაშინჯავად და მოსაფიქრებლად მომიცია მხოლოდ ერთი ყალიონის მოწევის ვადაო;—მალე გადაწყვიტე საქმეო, ენდე ჩემს ხელობასაო!...

თავად-აზნაურობამ ერთი ყალიონის მოწევა კი მოასწრო, მაგრამ იმ უცხო იარაღის გაშინჯვა ვერც მოაწყო და ვერც მოასწრო; და ისე თვალ-დახუჭული მიენდო ამ ახალ ბებიასა..

და მართლათაც, საქმე შესრულდა: ამ მოხერხებულმა ბებიამ დაალევინა თავად-აზნაურობას ბანგი და მიაძინა ტკბილის და ღრმა ძილითა...

და ისე ამ ძილშია იშობა ეს თავად-აზნაურობის ბანკი—ამ ორი წლის წინედ მეფის სახლშია, რიონის პირად.

მშობიერობის იარაღი უხეირო რამ გამოდგა; ეს მაშინ არავინ არ იცოდა, ვერავინ შენიშნა; ეს მხოლოდ ბოლოს გამოაშკარდა.

ამ უხეირო იარაღის გამო, ახალშობილს ბევრი რამ ევნო: გაუფუჭდა ცხვირი, ცალი თვალი და ცალი ყური.

ბებიას ეს არავისთვის დაუნახვინებია; მაშინვე ჯერ ჩვრებში და მერე ბლონდებში გამოახვია დამახინჯებული ახალშობილი.... ეშინოდა, რომ საბებიო არ დამეკარგოსო და ან არ დამაკლდესო.

ათას კაცზედ მეტი თავადი და აზნაური დაესწრო მიშინ აქ ამის ქვეყნად გამოჩენასა...

— თავად-აზნაურობას ბანკი შეეძინაო!...

შეიქმნა ერთი სიხარული და ყვირილი.

— დღეგრძელობა ახალ შობილ ბანკსაო და მადლობა მის სახელოვან ბებიასაო!... ყვიროდა ხალხი.

ხოლო თავადნი და აზნაურნი ხარობდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთსა:

— ეხლა გვეშველა, ეხლა მოვრჩებით ჩვენის სატკივრებისაგანაო! მეტად კარგი რამ, მშვენიერი რამ დაბადებულაო!

საწყლებმა ამ ახალ-შობილის მახინჯობის ამბავი ჯერ არ იცოდნენ.

ხარობდა მოქალაქობაცა, და ამბობდა:

— ამ ყურ-მოჭრილ თავად-აზნაურობის ბანკით მგონი ჩვენ უფრო ვისარგებლოთ!.

დიდ შენობას და დიდ ნაყოფს მოელოდა გაჭირებული თავად-აზნაურობა ამ ბანკისაგან, რომელშიაც ჰქონდა მას დათესილი ნახევარი მილიონი მანეთი.

ეს ცხვირ-გაფუჭებული ყურ-მოჭრილი და თვალ-მოთხრილი მახინჯი ეგონა, მშვენიერი მდევიაო.

და აღარა დაზოგა-რა გახარებულმა მშობელმა თავის ახალშობილისთვისა.

მობს რუსეთს, ის იმავე საფუძველზე დგას, რომელიც ჩვენმა უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა სალსბიურიმ გამოაცხადა თავის ნოტაში. ინგლისი თავის დღეში არ დათანხმდება, რომ სამზღვარი მომავალი ბოლგარიის სამთავროისა, რომელშიაც რუსეთი იქნება ნამდვილი ბატონი, ადრიანოპოლთან იყოს. ავსტრია და საფრანგეთიც ამ ჰაზრისანი არიან. ამას გარდა რუსეთმა ერთობ ბევრი მოითხოვა აგრეთვე მცირე აზიაშიაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისი არც ბათუმის დათმობაზედ დათანხმდება.“

—

მეორე ინგლისურ გაზეთს „ტაიმსს“ მოუვიდა ნიუ-იორკიდამ (ამერიკიდამ) შემდეგი დეპეშა:

„რუსებმა იყიდეს აქაურ ქარხნებში 200,000 ახალი სისტემის თოფი, რომელიც ოსმალეთის მმართებლობისაგან იყო შეკვეთილი. ამას გარდა რუსებმა შეუკვეთეს აქ კიდევ ნახევარი მილიონი თოფის დამზადება.“

—

ოსმალეთის ჯარის რიცხვი, როგორც ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, არის ამ ჟამად შემდეგი: სტამბოლში და იმის ახლო-მახლო ადგილებში—140,000 კაცი, ვარნაში ფაზლი-ფაშას ხელქვევით ითვლება—30 ბატალიონი, ტრაპიზონსა და არზრუმს შუა—15 ბატალიონი ბათუმში—24 ბატალიონი და 70 ზარბაზანი, 24 ბატალიონი ეპირში და თესსალიაში და 30 ბატალიონი. გალიპოლში და ბულაირში.

—

ამბობენ, ვითომც ოსმან-ფაშამ სთქვა შემდეგი სიტყვებით, როცა იმას ჰკითხეს: მიიღებს ოსმალეთი ინგლისსა და რუსეთს შუა ომში მონაწილეობას, თუ არაო:

„—ოსმალეთი იმდენათ უპატიოსნო არ არის, რომ არ შეასრულოს რუსეთთან მორიგების პირობა; მაგრამ მეორეს მხრით არც ისე სულელია, რომ ამ თავის დამამცირებელ პირობის ასასრულებელად ხმალი ამოიღოს და რუსეთს მოეხმაროს.“

—

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია:

„თფილისში დანიშნულია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მთავრობისაგან გაჩხრიკოს ყველა ატრიადების საინტენდანტოს ჩინოვნიკთ მოქმედება და გაიცნოს—თუ რა მდგომარეობაშია ჯარისათვის და ცხენებისათვის დამზადებული სურსათი. ყველგან უჩივიან აქეთკენ კავკასიის საინტენდანტოს მოქმედებას; განსაკუთრებით ბევრ უწესოებას ამბობენ ამ მხრით რიონის ატრიადში.“

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

ნაცინალურ კრების ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) კამისიამ ხელ-ახლად ამოირჩია გამბეტტა 1-ს მაისს თავის თავსმჯდომარედ. ამ დროს გამბეტტამ სთქვა, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები:

„ნაციონალური კრების უმრავლესობა (რესპუბლიკელი პარტია) ამ ჰაზრისა არის, რომ მმართებლობას უნდა მიეცეს ყოველი ღონის-ძიება და საშუალება, რომ საფრანგეთი დაიცვას მტრისგან, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი არ ეშინოდეს. მაგრამ მეორე მხრით, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ საფრანგეთის უზენაესი დევიზი და დანიშნულება: იზრუნოს მშვიდობიანობისა და ცივილიზაციისათვის.“

— პარიჟულ გაზეთებში მოყვანილია შემდეგი ამბავი ინგლისის ტახტის მემკვიდრის უელსის პრინცისა და გამბეტტას ერთმანეთთან გაცნობის თაობაზე

„უელსის პრინცმა, რომელიც ამ ჟამად პარიჟშია, გამოფენაზედ, საფრანგეთის უცხო-ქვეყნის საქმეთა მინისტრს ვადინგტონს გამოუცხადა სურვილი რესპუბლიკური პარტიის მოთავის—გამბეტტას გაცნობისა.

„სალამოს ცხრა საათზედ, როდესაც უელსის პრინცი სადილათ იყო ვადინგტონთან, და ნასადილევს მარშალს ძანრობერს ელაპარაკებოდა, ამ დროს ინგლისის ელჩმა ლაიონსმა მოიყვანა გამბეტტა პრინცთან. პრინცმა იმ წამსვე მიატოვა მარშალი, წარდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და მიეგება გამბეტტას.

„უელსის პრინცმა უთხრა გამბეტტას, რომ მე მოვისმინე თქვენი სიტყვა პალატაში და ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან ჩემზედაო.

გამბეტამ თავის მხრით უპასუხა:

---

ბებიამ თავი გამოიდო: ძიძობაც შემიძლიაო.

თურმე რა! ეშინოდა, სხვა რომ დადგეს ძიძათაო, ტიტველა არ დაანახოს ახალ-შობილი მშობელსაო, და მის სიმახინჯით მას გული არ გაუხეთქოსო, და ბებიობის ხელობა არ დამირჩეს ცუდათაო. . .

და მართლათაც თავად-აზნაურობამ ეს ბებია დაუნიშნა ამ ახალ-შობილ ბანკსა ძიძათა.

მეგრელებიც გამოუსარჩლდნენ ამ ბებიასა და სთქვეს, რომ ამისთანა ძიძაო მთელს ოდიშშიაც არ მოიძებნებაო.

ამ ძიძის გარდა თავად-აზნაურობამ მიუჩინა თავის ახალ-შობილსა მოსავლელათა ორი გადია, ექვსი ზედამხედველი და სხვა მრავალი მსახურები. და თითქმის ყველას დაუნიშნა კარგი ჯამაგირები. . .

სიუხვეს აღარ ჰქონია ზომა.

საანგარიშო ჩოთქი თან არავის მოეტანა, რომ ვისმეს ეანგარიშნა, თუ ამათ რომ ამდენი, და იმათ ამდენი, სულ ეს ჯამაგირები რამდენს შეადგენდა... და იარის მოსარჩენად, ე. ი. შვილების გასაზრდელად, რაღა ურჩებოდა ამ თავად-აზნაურობასა.

დალოცვილებო! რა დრო იყო მაშინ ანგარიშისა?

— ცას ქვეშეთ ამისთანა არა დაბადებულაო, გამოაცხადა მთელს საზოგადოებაში ბებიამ, ძიძად რომ ამოირჩიეს!—

თურმე ამას თავის თავზე და თავის საქმეზედ ამბობდა ის მეფისტოფელი,—რომ მამა-მძუძობიდგან ჯერ გახდა ბებია და მერე შეიქმნა ძიძად,—და ეს სიტყვები: „ამისთანა ცის ქვეშეთ არა დაბადებულაო!“ — მიიღო მშობელმა თავის შობილზე.

და გამგონემ თავად-აზნაურობამ სიხარულით კინალამ ზალის ჭერს თავი მიჰკრა, თუმცა ჭერი ისე მაღალი იყო, რომ იქ მდევიც გაიმართებოდა წელშია.

აბა, რა დრო(?)ს იყო, დალოცვილებო, მაშინ ანგარიში—თუ რაში რა იხარჯებოდა, როდესაც სიხარულის გამო ყვირილისაგან, ხლმების ჩახი-ჩუხისაგან, სიხარულის გამო ფანჯრების და სტოლების მტვრევისაგან—ღრიალა რიონის ხმაც კი აღარ მოისმოდა!

იყო ერთი უცნაური უპურ-მარილო და ულვინო ლხინი, ბურთის თამაში და კოლოფში კენჭების სროლა.

იყო ერთი ტაშის კვრა, ცეკვა, სიმღერა და ფერხული.

და მშვენიერნი ასულნიც იქ მოსულიყვნენ და თავიანთი ჟუჟუნა თვალებითა, კეკლუცობით და სინაზით შესცქეროდნენ ულვინოთ მოლხენილ ყმაწვილებსა და სიამოვნებდნენ მათის მოლხენითა. . .

ფერხული ჩაბმული იყო და იმღეროდნენ ჭაბუკნი:

> რალა გვიჭირს, ძმაო,
> ბანკი გაგვეხსნაო!
> თავადსა და აზნაურსა
> შვება მოგვეცაო!
> გაგვემართება შკოლები;
> ჩვენც გავხდებით მსწავლულები.
> ჰერი-ჰარალი, ბიჭებო... ჰერი-ჰარალიო!..
> ხელი-ხელსა გადავხვიოთ,
> ფერხული ჩამოუაროთ!...
> ჰერი-ჰარალი, ბიჭებო... ჰერი-ჰარალიო!..

ტკბილ და მაღალ ხმით მომღერალ ჭაბუკთ მოხუცნი ბოხის ხმით ბანს ეუბნებოდნენ:

> აგერ ესეც ჩვენი ბანკი თავად-აზნაურობისა.
> ეს არის ჩვენი ნუგეშში ჩვენ მოხუცებულობისა!
> ღმერთმა ისმინოს, შვილებო, თქვენი სურვილიო!
> ჰერი-ჰარალი, ჰარალი! ჰერი-ჰარალიო!

ქუთაისი, 9 მაისს. ძორტი

(დასასრული ხვალ)

„— მეც მოვისმინე, თქვენო უმაღლესობავ, თქვენი სიტყვა გამოფენის ბანკეტზე და სიამოვნებით შემიძლიან გამოვაცხადო, რომ თქვენს აზრს—ხალხთა შორის თანხმობისა და მეგობრობის დამყარების შესახებ მთელი ჩემი (რესპუბლიკელების) პარტია წრფელის გულით თანაუგრძნობს.

„— მეც ისე ვფიქრობ, სთქვა პრინცმა, და ამიტომაც შეგიძლიანთ საფრანგეთის მეგობრად ჩამთვალოთ.

„შემდეგ პოლიტიკაზე ჩამოვარდა ლაპარაკი; უელსის პრინცმა, სხვათა შორის, ღიმილით უთხრა გამბეტტას, რომ „იმას არა აქვს იმედი, საფრანგეთმა დიდხანს გაატაროს ასეთი კეთილგონიერი, მშვიდობიანი ცხოვრებაო.“

„გამბეტტამ უპასუხა თურმე ამაზე, რომ უკანასკნელი წლების უბედურებამ და ინგლისის მაგალითმა ჭკუა ასწავლა საფრანგეთს და დარწმუნებული იყავით, რომ წინდაუხედავს ნაბიჯს შემდეგში ის აღარ გადასდგამსო.

„შემდეგ გამბეტტა გააცნეს დანიის პრინცთან, რომელსაც დიდხანს ელაპარაკა.

„ბოლოს ამავე საღამოს სამხედრო მინისტრმა წარუდგინა გამბეტტა მარშალ კანრობერს.

„— აჰ, უფ. გამბეტტა, უთხრა კანრობერმა, ამბობენ, რომ თქვენ ყოვლისშემძლებელი ხართო, ბოროტიც შეგიძლიანთ და კეთილიცაო.

„—დარწმუნებული იყავით, უთხრა ღიმილით გამბეტტამ, რომ ჩემს გავლენასა და ძალას საფრანგეთის საკეთილდღეოთ მოვიხმარ!“

## იტალია

გ.ზ. „Indep. Belge“-ში დაბეჭდილია რომიდამ გამოგზავნილი ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ იტალიის ზღვის მინისტრს მოუხდენია განკარგულება, რომ ზღვის ჯარი სალაშკროთ მზათ იყოს, ხომალდები დაამზადონო და აგრეთვე ამ ჯარისათვის სურსათი მოაგროვონ ნავსადგურებშიო.

# განცხადებანი

### თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ მომავალ ივნისის 1-ს, იმის თანდასწრებით იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) მეტეხის და თფილისის საპყრობილოსათვის შეშის იჯარით მიცემაზედ.

(3—2)

### 15 მაისს, ორშაბათს,

თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

**„ძალად ცოლის-შერთვევინება**

კომედია მოლიერისა

და

**„ტივით მოგზაურობა“**

ვოდევილი ანტონოვისა

ბილეთების ყიდვა შეიძლება თეტრის კასსირს უ. პეტროვსკისთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასსაში.

შემოსავალი ამ წარმოდგენისა დანიშნულია ორი ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილისათვის.

(3—2)

# ახალი წიგნი.

**„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“**

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ვასილი აბაშიძისა

იყიდება: თფილისში—გართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

# ყმაწვილ კაცს

ზედმიწევნით მცოდნეს ფრანცუზულის ენისას ჰსურს აძლიოს ამ ენის პრაქტიული და თეორიული გაკვეთილები. თუ საჭირო იქნება თანახმაა სოფელში ან სადმე სხვა ქალაქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ქალაქში დადგეს ოჯახში. ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

# ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სახმარად ეჭირებათ, რომ ამ **ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაგირისა, კარეტის და ფაეტონებისა, ჩექმებისა ლანჩა და სხვ.**

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხნის კანტორაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხნის საქონელი იყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25 – 18)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 10 მაისს. | | |
| ფქვ. თ თ. განჯისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 50 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 60 |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ხუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 13 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 81 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, ბოლც. ფუთი . | 8 | 30 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 20 |
| ყავა გოგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუტისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, სამუშლო ფუთი | 8 | 50 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტოვი—ბებიობის თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., გაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—ქალის და ობრუხტი—კბილის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და გაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.